

# მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

## ხშირად დასმული კითხვები

### მობილობა

**1. რა იგულისხმება პროექტის აბსტრაქტში, როდესაც სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა არის 5 000?**

**პასუხი:** პროექტის აბსტრაქტში იგულისხმება მოხსენების ვრცელი აბსტრაქტი, რომელიც შეფასების პირველი კრიტერიუმის შესაბამისად შეფასდება. მოხსენების ვრცელი აბსტრაქტის სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა არის 5 000 სიტყვამდე.

**2. იმ შემთხვევაში თუ მოხსენებას ინგლისურ ენაზე ვაკეთებ, პროექტის აბსტრაქტი ქართულად უნდა დავწერო?**

**პასუხი:** პროექტის აბსტრაქტი, დანართი #2 ის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**3. ღონისძიებაზე მოწვევისა და პროგრამაში ჩასმის დოკუმენტების წარმოდგენა პროექტის რეგისტრაციისას არ არის სავალდებულო?**

**პასუხი:** საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე მოწვევისა და პროგრამაში ჩასმის დოკუმენტების წარმოდგენა კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდგომ ხდება, რაც უნდა წარმოადგინონ მხოლოდ გამარჯვებულმა აპლიკანტებმა 2017 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

**4. მობილობის გრანტის ფარგლებში გამოყოფილია თუ არა პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები?**

**პასუხი:** მობილობის გრანტის ფარგლებში პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები არ არის გამოყოფილი.

**5. მობილობის გრანტის ფარგლებში ფინანსდება თუ არა საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიება?**

**პასუხი:** მობილობის გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ საზღვარგარეთ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

**6. როგორ ავსახო პროექტში, საზღვარგარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, ფონდიდან მოთხოვნილი თანხა?**

**პასუხი:** მობილობის გრანტის ფარგლებში, არ ხდება ფონდიდან მოთხოვნილი თანხის ასახვა პროექტის წარდგენისას. გამარჯვებულ აპლიკანტებისთვის გამოყოფილი იქნება ფიქსირებული თანხა, რაც შეადგენს 2 000 დოლარის ეკვივალენტს ლარში.

**7. რომელ ღონისძიებებზე ვრცელდება მობილობის გრანტი?**

**პასუხი:** მობილობის გრანტის დაფინანსებით მონაწილეობის მიღება ვრცელდება:

- კონფერენციაზე;
- კონგრესზე;
- ფორუმზე;
- სიმპოზიუმზე;
- სამუშაო შეხვედრაზე (სემინარი Workshop).

**8. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება დაგეგმილია 9 სექტემბერს, მაინტერესებს შემოიძლია თუ არა ასეთ შემთხვევაში მონაწილეობის მიღება?**

**პასუხი:** მობილობის გრანტები გაიცემა საზღვარგარეთ იმ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც დაგეგმილია 2017 წლის 10 სექტემბრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

**9. უნდა წარმოვადგინო თუ არა წინასწარ გაწერილი ბიუჯეტი თუ რა ხარჯების გაწევა მინდა?**

**პასუხი:** ბიუჯეტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო, ფონდი გრანტის მიმღებს ავსნად გადაურიცხავს პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი წილის 90 პროცენტს. გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშის ფონდში წარმოდგენის და ფონდის მიერ ანგარიშის განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე, მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

**10. სანამ გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება, წინასწარ მიწევს ვიზის ხარჯების გაწევა, მაინტერესებს ანაზღაურებს თუ არა ფონდი ამ ხარჯებს მას შემდეგ რაც გამარჯვებულად გამოვცხადდები?**

**პასუხი:** გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, ხარჯები ფონდის მიერ მიზნობრივ ხარჯად აღიარდება, თუ ისინი გაწეულია კონკურსის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

## საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები

**1. აქვს თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება „შ.პ.ს“ სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას?**

**პასუხი:** დიახ, უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა.

**2. შეიძლება თუ არა, რომ პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყოს ერთი და იგივე პიროვნება?**

**პასუხი:** პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი უნდა იყოს სხვადასხვა პიროვნება.

**3. ბიუჯეტში შეგვიძლია გავწეროთ კვების ხარჯები კონფერენციის მონაწილეებისთვის?**

**პასუხი:** დიახ, შესაბამისი ხარჯები შეგიძლიათ გაწეროთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან.

**4. შეიძლება თუ არა უცხოეთის მოქალაქე ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის პლენარული მომხსენებლის სტატუსით ძირითად პერსონალში ჩართვა?**

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია.

**5. წარმომადგენლობითი ხარჯი თუ ითვალისწინებს მოწვეული ლექტორებისთვის საერთაშორისო სამგზავრო ბილეთს და ჰონორარს?**

**პასუხი:** წარმომადგენლობითი ხარჯი ითვალისწინებს მგზავრობის ხარჯს, რაც შეეხება ჰონორარს მისი გაცემა წარმომადგენლობითი ხარჯიდან არ არის შესაძლებელი;

**6. სეზონური სკოლის გრანტის ბიუჯეტი თუ იძლევა საშუალებას უცხოეთიდან მოწვეულ ლექტორების სამგზავრო და საცხოვრებელი ხარჯების დაფარვას?**

**პასუხი:** დიახ, ბიუჯეტი იძლევა საშუალებას უცხოეთიდან მოწვეულ ლექტორებს დაუფაროთ მგზავრობის და სასტუმროს მომსახურების ხარჯები, მათი წარმომადგენლობით ხარჯებში გათვალისწინებით.

**7. შეიძლება თუ არა, ერთმა პიროვნებამ, ხელმძღვანელის სტატუსით, დაარეგისტრიროს კონფერენცია და სეზონური სკოლა ცალ-ცალკე პროექტად?**

**პასუხი:** არა, შესაძლებელია მხოლოდ ერთი პროექტის დაარეგისტრირება. ერთ პიროვნებას, ხელმძღვანელის სტატუსით, შეუძლია დაარეგისტრიროს სეზონური სკოლა და კონფერენცია მხოლოდ კომბინირებული ღონისძიების სახით.

**8. რა იგულისხმება ადგილობრივი ინტრა და ინტერინსტიტუციონალური თანამშრომლობის ხარისხში?**

**პასუხი:** შეიძლება იგულისხმებოდეს ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული ძირითადი პერსონალის, ძირითადი და პლენარული მომხსენებლების / მოწვეული ლექტორების ინსტიტუციური ავილირება.

**9. შესაძლებელია თუ არა უცხოეთში მოღვაწე ქართველმა დაინტერესების წერილის დანართი ქართულად შეავსოს?**

**პასუხი:** დაინტერესების წერილის დანართი არის ინგლისური ვერსიით წარმოდგენილი. შესაბამისად, დაინტერესების წერილი ივსება ინგლისურად.

**10. რა ხანგრძლივობის უნდა იყოს სეზონური სკოლის გრანტი ან კომბინირებული ღონისძიება?**

**პასუხი:** სეზონური სკოლის ხანგრძლივობა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 30 საათს. კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, სეზონური სკოლის ხანგრძლივობა, ასევე, მინიმუმ 30 საათს უნდა შეადგენდეს.

**11. ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ძირითად და დამხმარე პერსონალში?**

**პასუხი:**

- ✓ ძირითად პერსონალში შეიძლება მოიაზრებოდეს, საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, აგრეთვე კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები;
- ✓ პროექტის დამხმარე პერსონალს შეადგენენ პირები, რომლებიც ჩართული არიან ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

**12. ფინანსდება თუ არა ვებგვერდის შექმნა და ადინისტრირება?**

**პასუხი:** საგრანტო სახსრებით არ ფინანსდება ვებგვერდის შექმნა და ადინისტრირება, გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ან შესაბამის ბმულს წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდზე სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ღონისძიების შესახებ, ღონისძიების მიზნების, თემების, ჩატარების დროისა და ადგილის, მონაწილეობისა და სამიზნე აუდიტორიისათვის საინტერესო ინფორმაციით.

**13. შემიძლია თუ არა საქონელი და მომსახურების მუხლიდან შევიძინო 500 ლარზე მეტი ღირებულების დანადგარი?**

**პასუხი:** არა, არ არის შესაძლებელი. აღნიშნული ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ძირითადი აქტივების შეძენას.

**14. იბეგრება თუ არა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება?**

**პასუხი:** ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება.